

1950

ქართული
ბიბლიოთეკა



108
5/4
1

ხან. ს. მაისაშვილისა

ჩვენი ქვეყნის ცაიდე ამველიდ ხაიაროებს გაუმარტოს!
 მთა და ბარიც აყვავილიდა, სურს ხაღხისთვის გაისარტოს,
 ხაღხი ჰქმნის და ხაღხი იტავს თავის მამულს, თავის სარჩოს,
 დღეს პირველი მაისია, პირველ მაისს გაუმარტოს!

ნ ი ა ნ ბ ი



თვალსაზრისით სულიერი მექვიდრენი

ალბათ გინახავთ უკვე მთელი ზოგიერთი მოკაზმული ჟურნალი „ამერიკა“. ეს ამერიკის საინფორმაციო ბუროს ოფიციალური ორგანო გახლავთ. ახლახან გამოვიდა ამ ჟურნალის №38, რომელშიაც მოთავსებულია ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მთავარი ფსიქიატრის, მედიცინის დოქტორის ვილიამ მენინგერის მოხსენება—წაკითხული ნიუ-იორკის სამედიცინო აკადემიაში, მედიცინის დოქტორს ამ მოხსენებაში განუცხადებია: „არც ერთ ჩვენგანს არ შეუძლია მუდმივად იმყოფებოდეს



იდელური სულიერი ჯანმრთელობის მდგომარეობაში“ (გვ. 45); მოხსენებას წინ წამძღვრებული აქვს ჟურნალის რედაქციის შენიშვნა: „ნორმალურ ადამიანებს და შემოიღებს შორის არსებითად—განსხვავება მხოლოდ ხარისხშია“ (გვ. 43). ერთი სიტყვით, ჟურნალი „ამერიკა“ ოფიციალურად ადასტურებს, რომ გიჟებსა და ჭკვიანებს შორის არსებითი განსხვავება არ არის, არის მხოლოდ შედარებითი განსხვავება—პირველი უკვე აღმატებულ ხარისხში, მაღალ გრადუსებში არიან, მეორეებს კი ჯერ ცოტათი უჭირთ, დამწყები გიჟები არიან.

ათი ათასი ტყუილისა, ყოველგვარ წოვსადასული ჩმახვისა და რთვის შემდეგ ერთი სიმართლე „ამერიკის“ რედაქციასაც წამოსცდა: მართლაც იმ ადამიანთა შორის, რომელნიც ახლა ამერიკას განაგებენ, რომელნიც შეშლილნი არიან ატომურ და ზე-ატომურ ბომბის შანტაჟზე, რომელნიც მთელ ქვეყანას წარღვნიან და განადგურებით ემუქრებიან—მწელია ნორმალური ადამიანის მოძებნა. ტყუილად როდი დაუდგა ძველი ამერიკის მთავრობამ თავის დამთხვეულ სამხედრო მინისტრს ჯეიმს ფორესტოლს, რომელნიც იშვირა ფეხი, შეთქმულმა სართულიდან გადმოხტა და, რაღა თქმა უნდა, სული ვეღარ ჩამოიტანა მიწამდე.

ამბის თხრობას ჩვენც ამ ფორესტოლით ვიწყებთ.

* * *

ორკესტრმა სამგლოვიარო მარში დაასრულა და ის იყო კიდევ ჯონ ფოსტერ დალესმა გადასწია ფარდა. მოედანზე მოკრთვილ ხალხს თვალწინ წარმოუდგა მაღალ კვარცხლბეკზე დადგმული ქანდაკება კაცისა, რომელიც ისე იდგა, თითქოს მართლაც შეშლილის დამამშვიდებელი პერანგი ჩამოაცალეს. ყველამ იცნო: ეს იყო ფორესტოლი.

ძეგლის აქეთ-იქიდან სპატიო ყარაულში გენერლები—ბრედლი და ეიზენჰაუერი იდგნენ.

იმავე წუთს ჟგლის ირგვლივ ქვეითნი გაისმა. პირველად პრეზიდენტი ტრუმენი ატირდა. შემდეგ, სუბორდინაციის დაცვით, ატირდნენ ჯერ სენატის და ბოლოს წარმომადგენელთა პალატის წევრები. ქვეითნი უცებ დაჰყარა აჩესონის ხმამ. მინისტრი სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე შემდგარიყო.

ორატორმა თითი გაიშვირა ძეგლისაკენ და აკანკალებული ხმით მოაგონა დამსწრეთა შეგუებული მინისტრის ცხოვრება და მოღვაწეობა. თუ როგორ ააგო მან საპარო და სახლგაო ბანები, თუ როგორ იღწვოდა ამერიკისათვის და ერთ დღეს სახანძრო რაზმის სირენის ხმა რომ მოესმა, პატრიოტული ყვირით როგორ შესძახა ცას გვიშველეთ, რუსების ტანკები ვაშინგტონის ქუჩებზე მოდიანო, და როგორ ჩააცვს მას შეშლილის პერანგი... როგორ წაიყვანეს საგიჟეში... და ა. შ.

როგორც კი სახეიშო-სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა, კონგრესის წევრებმა მანქანებს მიაშურეს; კონგრესის სხდომაზე ექიარებოდათ. წამოსვლისას დამსწრენი ერთმა საკვირველმა ამბავმა გააოცა: მინისტრები კრიალა ავტობუსში ჩასხდნენ, ხოლო ერთი ქვეითანი, დანჯღრეული მანქანის გარშემო დიდი ცილობა ატყდა. ჯერ ტრუმენი მოთავსდა მასში, მერ დამწყობი ჩხუბი დალესა და აჩესონს შორის—არა მეტყუთენის ჩაჯდომა და არა მეო. როგორც იყო ყველანი მოთავსდნენ და ეს დანჯღრეული მანქანაც დაიძრა.

ხალხი გაოცებული იყო. გაუგებრობა მხოლოდ შემოეღდეს გაიფანტა, როცა ამერიკის რადიომ გადსცა ასოშიეტივდ პრესის სააგენტოს ცნობა, რომ პატივცემულმა ბიზნესმენმა ქრისტოფერო რანუსმა



გერმანიიდან ჩამოიტანა ჰიტლერის პირადი ავტომობილი, რომელსაც ახლა ამერიკის პრეზიდენტი იყენებსო.

* * *

და აი ქვოთუმი უკვე შეიკრიბა. ის იყო ტრუმენმა ანიშნა ვანდენბერგს სხდომა დავიწყოთო, როცა მას მიუახლოვდა აჩესონი და წასჩურჩულა:

— ბატონო პრეზიდენტო, უცხოელი სოცდაგრები არიან ჩამოსული... ბარემ სხდომის დაწყებამდე მივლოთ და მოვიშორეთ თავიდან... კარგი საქონელი აქვთ ჩამოტანილი.

ტრუმენმა ხელით ანიშნა შემოიყვანეთო. პირველად თავი შემოიჭო ქონდრისკაცმა, რომელსაც გენერლის პაგონები ეყვო. ეს იყო ფრანკო.

— რასა ჰყიდი?—შეეკითხა მას ტრუმენი. ფრანკომ მოწიწებით მიუგო:

— მშვენიერი საქონელი მაქვს ბატონო: რიო ტიტოს მადნები, ვალენსიის ხილი, ხერესის ღვინო, კარგი სახარბახუნ ხორცი...

მაგრამ პრეზიდენტმა მას სიტყვა აღარ დაამთავრებია: „ეს მეწვრილმანე ყოფილაო“, წამოიძახა. ამის გაგონებაზე ფრანკოს ჭირი ოფლი წასკდა, ოთხად მოიხარა წელში, დაიჩქა, მიუახლოვდა ტრუმენს, ფეხსაცემლზე ენა აუსვა და წამოიკანკლა:

— ნუ ინებებთ ბატონო, ნუ გამიწყურებთ... მთელი ესპანეთის მიწა-წყალი წაიღეთ... გნებავთ აეროდრომები გამართეთ, გნებავთ ნავთის მონობლია აიღეთ... თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს...

ახლა კი ადვილად მორიდდნენ, ფრანკოს დოლარები დაუთვალეს და გაისტუმრეს.

როგორც კი ფრანკომ კარი გაიხურა—ოთახში ისმეტ ინენიუ და მოკამედ რეზა ფეხლევით შემოვიდნენ. ისმეტმა ასჯერ მიყიდული თურქეთი ისევ მიჰყიდა ამერიკელებს, საფასურად ერთი კარგი, მშვენიერად გასუქებული ინდაური მიიღო, ამოიჩარა ილღიაში და გახარებული წაიდა, ირანის შაჰმა კი თავისი ქვეყანა ჯერ ორასი ათასი ტონა ხორბალი დააფასა, მაგრამ პურზე უარი უთხრეს და ორასი საველე ხარბახანი შეძლიეს. ისიც უყიყმანოდ დათანხმდა. ბოლოს ტიტო და დე-გალი შემოიყვანეს. ამათ თითო დოლარი აჩუქა ტრუმენმა და გაისტუმრა.

* * *

როგორც კი ვაკრობას მორჩნენ—კონგრესის სხდომა დაიწყეს. ჯერ ისევ მე-19 საუკუნეში სახელგანთქმულმა ამერიკელმა მწერალმა ვაშინგტონ ირვინგმა ამერიკის კონგრესის ასე დაახასიათა:

„ეს არის მღელვარე, მოლაყბე ბრბო, რომლის ყველა გადაწყვეტილება დადგამულია სიგიჟით, ჩხუბით და ღრიანცვლით. ამ ბრბოს წევრები იკრიბებიან ერთად არა იმისათვის, რომ თავის თანამშრომლებთან ერთად განოიტანონ ბრძნული გადაწყვეტილებანი, არამედ იმისათვის, რომ ხეპრულად იჩხუბონ. ლანძღონ ერთმანეთი და დასტკბენ საკუთარი ორატორული ხელოვნებით“.

აი ესეც მეორე მოწმე, რომელიც სრულიად დაუფარავად ლაპარაკობს კონგრესმენტთა სიგიჟეზე.

ვაშინგტონ ირვინგი ამას წერდა მე-19 საუკუნეში, მაგრამ მას რომ ენახა ის სხდომა, რომლის აღწერას ჩვენ ვიწყებთ—უფრო უარეს იტყოდა,

ეს კონგრესი კი არა, ან ნიუ-ბელამია, ან სან-ლიუცი, ან წმიხდა ელისაბედის სახელობის სულით დაავადებული საავადმყოფოაო—წამოიძახებდა ის, მანასადაძე, ვიწყებთ სხდომის აღწერას.

დასაწყისიდანვე, როგორც კი თავმჯდომარემ ხარი დააწკარუნა, კონგრესმენები ფრიალ შემოთებულნი იყვნენ; მიზეზიკა ჰქონდათ: ზედიზედ ჩაიშალა მათი გეგმები, მსოფლიოს ხალხები მშვიდობისათვის საბრძოლველად ირახმებინ, აგერ ახლოვდება პირველი მაისი და მშვიდობის ძალები უფრო ძლევამოსილი ფრონტით გამოვლენ!

და აი ამ შემოთებებით და წუხილით დაიწყო სხდომა. საერთო ღრიანცვლში ტრიბუნაზე ავარდა წარმომადგენელთა პალატის წევრი, რესპუბლიკელი პოლ კანინგემი (აიოვას შტატი). მან განაცხადა:



— ბატონებო! დღეს ჩვენ გაკურთხეთ ძველი ძვირფასი ჯვირისა. გაიხსენეთ მისი ბრძნული სიტყვები, როცა სახანძრო მანქანის ხმა გაიგონა: გვიშველეთ, რუსების ტანკები მოდიანო. ამიტომ წინადადება შემომაქვს: ამერიკის დედაქალაქი ვაშინგტონიდან გადავიტანოთ აიოვას შტატში, ქალაქ დე-მოინში. ეს პირდაპირ მისწრება იქნება: დე-მოინის ირგვლივ



ისეთი მაღალი, ისეთი ხშირი სიმინდის ყანებია, რომ მასში სრულიად თავისუფლად დაიშალეებით თქვენც ბ-ნო ტრუმენ, თქვენც ბ-ნო აჩესონ, თქვენც მამაცი გენერლებო. ბრედლი და ვიხენჰაუერი! ხეშობიდან არც ერთი არ გამოჩნდებით.

კანინგემს თავისი სიტყვა დამთავრებული არა ჰქონდა, რომ მას ფეხებში სტაცა ხელი ტენასის შტატის დეპუტატმა რაიტ პეტემმა, ჩამოათრია ტოიბუნდიდან, თვითონ შედგა ზედ და ახალი წინადადება შეიტანა:

— ბატონებო, კანინგემი მიჰქარავს, სჯობია დედაქალაქი დავშალოთ სადმე კონტინენტის სიღრმეში, მისისიპის დასავლეთით. მე იქაური განსაზღვართ და გეფიცებით, ამაზე კარგი დასამალავი ადგილი არსად არ არისო.

ტრიბუნაზე პეტემენი შესცვალა დოქტორმა რალფ ლეგმა. ეს უკანასკნელი ატომური შანტაჟის ოსტატია. ამიტომ მან ატომის ბომბსავით დაიჭეჭა ტრიბუნიდან:

— ამით არ დაუფეროთ! მე შემომაქვს ყველაზე რაციონალური წინადადება: ვინაიდან კონგრესი ძალზე რიცხვმრავალია, ამიტომ დავყოთ ის შემადგენელ ნაწილებად და მერე პატარ-პატარა ნაკრებების დამალვა უფრო ადვილია: სენატი დავშალოთ ვირჯინიის შტატში, ქალაქ ალექსანდრიაში, ხოლო წარმომადგენელთა პალატა მარილენდის შტატში, ქალაქ ვეფხუზში.

— მიჰქარავ, — ადგილიდანვე უყვირა ატომურ შანტაჟისტს კონგრესმენმა ჯონ რენკინმა და ტრიბუნისკენ წავიდა. — მე ყველაზე კარგი რამ მოვიფიქრე: კენტუკის შტატში არის განთქმული ჯუჯრდუმლები, რომლებსაც მამონტის გამოქვაბულებს ეძახიან. ამაზე ღრმა გამოქვაბულები მთელ დედამიწაზე არ არსებობს... შიგ თავისუფლად დაეტევა მთელი მთავრობა, დაეტევა ყველა სამინისტრო... გადავიდეთ იქ და მერე იქიდან განვავითაროთ იგრიში დედამიწის დასაპყრობად: აღმოსავლეთიდან შეუტეოს დუგლას მაკარტურმა, სამხრეთიდან მილსომი, დასავლეთიდან ბრედლიმ, ჩრდილოეთიდან კენონმა... ტანსაცმლის ფორმა — საყარაულო, სახარბაზე ხორცი — ვეროპიდა. პარადს მივიღებ მე...

ეს კი ვიღარ მოითმინა პრეზიდენტმა, ეს ვინ ეშმაკი მეციღება პარადის მიღებასო. ის წამოხტა და მწივიანა ხმით დაიწყო:

— თქვენ არაფერი გესმით და თავებედი ხართ! ვის ეცოლებით პირველთაას! ატომურიც და ხე-ატომურიც ბომბაც ჩემი მთავარსარდლობით უნდა დავარტყათ ქვეყანას. ნუთუ უფროსალ-გაზეთებს არ კლახულობთ: აბა გადაშალეთ იტალიური უფროსალის „ოჯის“ ახალი ნომერი, სადაც დაბეჭდილია ჩემი ყოფილი პარტიკმახერის „მემუარები“ და აღნიშნულია, თუ რას ვეუბნებოდი მე პარტიკმახერს. როცა ის ვეფრტალით თმას მისველებდა; მე მას ვუთხარი და ეს აღნიშნულია უფროსალში, რომ როცა ხიროსიმაზე პირველი ატომური ბომბა უნდა დგურტყა — მე მართო იმისი მეშინოდა დედაჩემი არ გამოწყურს-მეთქი. ახლაც მართო დედაჩემს შევეკითხები და არა თქვენისთანა ხეპრეებსა და ვირებს.



პრეზიდენტის სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ოკლოგამის შტატის დეპუტატი ჯიმ სკოტ იმდენად აღფრთოვანდა, რომ ეგონა ომი უკვე დაიწყო, რევოლუციური გაიძრო, იყვირა „წინ, მსოფლიოს დასაპყრობადო“, და ორი ტყვია დაახალა სენატორ ტომ ანგლინს. სენატორი ჰარი-მანი კი გაჰყვიროდა: ბატონებო, დედამიწა რომ გაუხეიროთ, ამერიკიდან პირდაპირ საბჭოეთში ამოვყოფთ თავს, და მე თუ გამოწყევებით, საქართველოს სამთხვეში მოგახვედრებთ — მე ის ერთ დროს დავათვალიერე და კიათურის მადაროები კარგად ვიცი — იქიდან ამოსვლას და გადმოხედვას არაფერი სჯობიაო...

* * *

ხეშომოყვანილი ფაქტები დედა-ქალაქის გადატანასა და დამალვაზე უფროსალ „ოჯში“ დაბეჭდილ მემუარებზე, ფორესტოლზე, კონგრესში გასროლილ ტყვიებზე — ამ პამფლეტის ავტორის ფანტაზია არ გგონოთ. მე ისინი მხოლოდ ერთმანეთს შეგუთანაბრე, მეტი არაფერი. მერე ამერიკის არმიის სამედიცინო სამსახურის მთავარი ფსიქიატრის, მედიცინის დოქტორის ვილიამ მენინგერის თეორიული მოსაზრებანი შეგუდარე ამერიკელ კონგრესმენტთა პრაქტიკას და, დახეუ, დოქტორის დიაგნოზი სწორი გამოდგა: მართლაც მოდი და ეძიე ჰეუათმეყოფელი ამ კონგრესში, მოდი და გაარჩიე ფორესტოლი ტრუმენისა და აჩესონისაგან!

განსხვავება არ არისო — ამბობს უფროსალი „ამერიკა“, ამასვე ამბობს მედიცინის დოქტორი ვილიამ მენინგერი.



დიდ გასაჭირში იყო ნიადაგი ორი ბატონის მონა-მსახური...



მაგრამ აქ უკვე მისი მონობის დასასრულია გამოსახული.


— არ არის, — ვუდასტურებთ ჩვენც. გული მწყდება მხოლოდ რომ ადგილის უქონლობის გამო ინგლისის პარლამენტისა და თვით ჩერჩილის შესახებ ვერ მოგითხროთ. წინა სამაისო სიგიყ და გაოცება იმათაც არა ნაკლებ გამოხატეს...

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ ამას წინათ იტყობინებოდა რომ პარლამენტის უნივერსიტეტში შემოუღიათ გამოცდების ახალი წესი იმ პირთათვის, ვისაც საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარება და ბაკალავრის (უმცროსი მეცნიერის ხარისხი) წოდების მიღება სურს: გამოცდებზე დაშვებული პირები თურმე ვალდებული არიან მეორე სართულის ფანჯრიდან თოკით ჩამოეშვან.



ასე იუწყება „ნიუ-იორკ ტაიმსი“. უნდა ვივარაუდოთ, რომ რაც უფრო მაღალი სამეცნიერო ხარისხის პრეტენზიას განაცხადებს ესა თუ ის მოქალაქე — სართულების რიცხვიც, ალბათ, იზრდება. ვთქვათ, ბაკალავრობისათვის მეორე სართულიდან გადმოხტომაა საკმარისი, დოცენტისათვის ალბათ საჭირო იქნება ჩამოეშვას მეხუთე სართულიდან, დოქტორობისათვის, უნდა ვიგულისხმოთ, დაახლოებით, მეათე სართული იკმარებს. იბადება კითხვა: მაშ რა თემაზე იცავდა დისერტაციას იერიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ჯეიმს ფორესტოლი, როცა მეთექვსმეტე სართულიდან ხტებოდა? პრეზიდენტობისათვის ხომ არ ეშვადებოდა? მოდი და გასგე რამე! ბედლაძია, მაშ რა ჯანდაბანა! ასეთია იმპერიალისტური ამერიკა.

გ. ნატროზვილი



სამაისო მისაღმებანი

გორს

* * *

მე პირველ მაისს, პირველად
 მალალ მშეს მივესალმები, —
 მას მუდამ შეფრიალებენ
 ცადამართული აღმები!

შემდეგ მიიპყრობს ჩემს თვალებს
 მეომრის სახე კეთილი,
 გმირული შრომის დამცველად
 რომ არის გამობრძმედილი.

მესმის, თუ როგორ გუგუნებს
 ღუმელი, დაზგა, მალარო,—
 მუშებს, მუშათა ზეიში
 სიმღერით მინდა ვახარო!

მზის ამოსვლას ჩვენი ხალხი
 შენს სახელთან აკვირებს,—
 სამაისო ხალხს ვუთვლით
 შენს მშენებელ ახალ გმირებს!
 ხალხში ჩვენს ხარაჩობს,
 გალამაზდი საგანგებოდ,
 რომ შენს ბალებს, შენს პროსპექტებს
 ჩვენი ვაშა შევაგებოთ.

ლექის ყოველი სტრიქონი
 წიგნს უნდა აჩნდეს ხნულივით,
 რომ შენი სიტყვა ქართული
 ფრთას შლედეს გაზაფხულივით!

მხატვრებს

ჩვენი სამშობლო უთქვენოდ
 ისედაც დახატულია,
 აგერ—მინდორი ბიბინებს,
 აგერ—მთა აკალთულია,
 წელზე რომ ხმ ლი არტყია
 კრიალა ნაკად ლია!
 თქვენც შეიყვ რებთ შრომის გმირს,
 რომ უფრო ახლო ნახავდეთ...
 მზის სინათლეზე გამოდით—
 თქვენს ოთახს ფარდა ახადეთ
 და სინამდვილე ფერადი
 ფერადი ფუნჯით დახატეთ!

მხედრებს

ჩვენს მინდვრებს, ჩვენს ბაღ-ვენახებს,
 ქარსნებს, ცადაწვდილ ხარაჩოს,
 თქვენი ნაცადი მარჯვენა,
 თქვენი მახვილი სდარაჯობს.

თქვენ ხართ სამშობლოს მშვენიერა
 და მტერთა გადაშენება.
 შესწარავს, ცხრაჯერ დალახვრავს
 მტერს ცხრა მაისის ხსენება.

სამგორს

მწირი უდაბნო—ხუთწლედმა
 მოგროთ ახალი მზის ხსივით,
 ყოველ წერაქვის დაკვრავზე
 ცოცხლდები ოაზისივით,
 ჩვენი ნატვრაა—გაისად
 დამთავრებული გვენახო,
 შენ, მომავალი პურის ზღვავე,
 ბაღო, წალკოტო, ვენახო!

ოპერას

მე ოპერის წინ, გავლისას,
 მამლის ყვირილი მომესმა...
 —ეს ჩვენი მომღერალია!—
 თქვა ერთმა უახლოესმა,—
 მსმენელთა გასადვილებლად
 დროზე დაგვიტომო „სოპრანო“.
 —ახალგაზრდობა სად არის?—
 ვკითხე ღიმილით მწარეთი,—
 ახალი თუ არ აღზარდეთ,
 თავს ვერ გაიტანთ ბაღეცით,
 ვერც საგასტროლოდ ჩამოსულ
 მომღერალ-მომთაბარეთი!

საქვატრობას

ჩვენში კულტურულ ვაჭრობას
 აქვს როლი უზარმაზარი:
 შენ გიციერს, როგორც დირიჟორს,
 მალაზია თუ ბაზარი,
 თვალს ნუ დახუჭავ, იქ ხშირად
 გვხვდება სურათი ხაზარი.
 შენ თვითონ მიხვდე, სჯობია,
 თორემ ჩვენ ვიცით რაც არის!

„საქწიგნს“

ქაფს იყენებს ყველა ლუდი,
 ყველა ჭიქა, ყველა ჩაფი,
 მაგრამ დღემდე არ ვიცოდით,
 რომ ჭიქონია წიგნსაც „ჭაფი“.
 თქვენს ადგილას სხვა რომ იყოს,
 ვერ გაუღებს დანა კბილსა;
 გაფლანგული ათასები
 მანდ ითვლება „დანაკლისად“.
 წიგნი ისე უნდა ჰყიდოთ,
 თქვან:—ვაჭრობა იციანო,
 თორემ მუდამ ფონს ვერ გახვალთ,
 თე ვ ი ვ ი თ რომ ისრიალოთ.

შრომის გმირებს

მოგილოცავთ პირველ მაისს
 სახელოვან შრომის გმირებს,
 ნეტავ, თქვენი მარჯვე მკლავი
 სახვალთოდ რას აპირებს?

კვლავ გმირობას მოიპოვებთ,
 აღბათ, ხენაში, მკაში, რთველში,
 რა კარგია სანახავად
 ორი გმირი ერთ ქართველში!

* * *

მრავალი გვყავს მეგობარი,
 თუმც მრავალი გაგვეუტა—
 ნიანგს ზნე აქვს იმნიერი,
 რომ საკბელოს ეძებს მუდამ.
 მაგრამ ნაკლის აღმოჩენა
 განა მართლა უხარია,
 მას მოყვრულად გული სტკივა,
 ის მოყვრულად მწუხარია
 და რადგანაც ჩვენი ფოსტის
 ფეხზარდობა არა სჯერა,
 მისალმება თავის ხელით
 ათას ცალად გადასწერა...
 უნდა ყველა გააკვირვოს
 უჩვეულო ამბავითა
 და ნიანგმაც ისრიალოს
 ტროლიბუს-ტრამვაითა!
 პირველ მაისს, დილით ადრე
 ესტუმრება ყველას თვითონ,
 ხალხი იტყვის გავიხარეთ
 დღეს ნიანგის დანახვით!

ქუთაისს

ვარდობა და მაინობა
 უფრო მეტად გშენის ახლა,
 როცა შენი ფაბრიკების
 ხართულები იწევს მაღლა.

ინდუსტრიის კერა გახდი,
 ქობმახების მოსპე კვალი,
 არქიელის გორაზეც კი
 ტროლიბუსს მოვკარ თვალი,
 და ჩვენც გვიანდა შენს წინხვლაზე
 კვლავ მეტი ვთქვათ და დავწერიოთ,
 შენი ქარხნის ავტოებით
 შარაგზები გადავხეროთ!

მწერლებს

ვით შემოქმედი მაღალი
 თუ ხარ შენც სამპიროვანი, —
 დაბრძანდი ძმაო, დასწერე
 ლექსი, პიესა, რომანი!
 ყოველ გაზაფხულს გლეხივით
 უნდა უმღერო პოეტო,
 ძველ სახნისს დაემსგავსება
 კალამს თუ უანგი მოედო.

ნიანგი



ვლ. მაიაკოვსკი-ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტი



* *
 მე ველი ამ ცაზე
 თვითმფრინავს ვხედავდი.
 საყვარელ ქალივით
 იმედი მეგულვის,
 რომ ვნახო მის ფრთაზე
 წარწერა „თბილისი“
 და ეკრას ბეჭედი
 აქ დამზადებულის.

ვლ. მაიაკოვსკი

როგორც კი დავადგი ფეხი კავკასიას,
 მყისვე მომაგონდა,
 რომ მე ქართველი ვარ.

ვლ. მაიაკოვსკი

* *
 მე ყოველ ქალაქს
 როდი ვცემ პატივს.
 ბიუროკრატიზმს
 დაეღრღნი მგელივით.
 ჯანდაბას იქით
 ყველა მოწმობა
 მაგრამ ამას კი
 ვერ შეველევ!
 ვიღებ ჯიბიდან
 და მახალისებს
 თითქოს საგანძურს
 ძვირფასს ვალაგებ.
 ჰა, წაიკითხეთ,
 შურით აღივსეთ—
 საბჭოთა ქვეყნის
 ვარ მოქალაქე!

ვლ. მაიაკოვსკი



ნახ. უჩა ჯაფარიძისა

* *
 რაც შეეხება მე პირადად—
 ასე ვიზამდი:
 მე ამერიკას დავხურავდი.
 ოღნავ გავწმენდი
 და მერე ისევ
 ხელმეორედ აღმოვაჩენდი.

ვლ. მაიაკოვსკი

ე რ თ ხ ე ლ...

მაიაკოვსკი შესანიშნავად ლაპარაკობდა ქართულად, რა თქმა უნდა, ოღნავი იმერული აქცენტით.

...ერთხელ, ამერიკიდან ახლად დაბრუნებულმა, ვ. მაიაკოვსკიმ თავისი ლიტერატურული სალამოს შემდეგ, თბილისის ერთ-ერთ კაფეში ქართველ პოეტებს ასეთი ამბავი გვიამბო:

— ამერიკაში ჩემს სალამოებს დიდძალი ხალხი ესწრებოდა, მათ შორის ჩვენი მტრებიც, — რუსი თეთრგვარდიელებიც. ერთ სალამოზე, უნდოდით რა ჩემი დაზნევა, შევითხვა ინგლისურ ენაზე მომცეს. მე ინგლისური არ ვიცი, და, რა თქმა უნდა, წამით უხერხულ მდგომარეობაში ჩავდექი, მაგრამ გამოსავალიც მალე ვპოვე — ინგლისურ შეკითხვას — ქართულად „ვუპასუხე... თქვენ ადვილად წარმოადგენთ მათ არევ-დარევას და გაოცებას, თუმცა არც მე დავრჩი ნაკლებ გაოცებული, როცა ჩემს პასუხზე ვილატ წამოვარდა ქანდარაზე და გადმომძახა:

— სადაური ხარ, თუ ძმა იყო, მითხარო.

— „ქუთუთისელი გახლავართ“ — მეთქი, ვუპასუხე ჩემი ქართულით აღფრთოვანებულ უცნობ ქართველს, — დაამთავრა მაიაკოვსკიმ თავისი ბოხი ხმით და ჩვეული ღიმილით.

ერთხელ მაიაკოვსკი მსმენელებს მოუთხრობდა ამერიკაში თავისი მოგზაურობის ამბებს:

„... ჩემზე იქ ათასნაირ სისულელეს ჩმახავდნენ, — დასძინა მან, — როცა ერთხელ რომელიღაც რეპორტიორს შევეკითხე: რატომ ისიც არ დაწერე, რომ მე, მაგალითად, ვითომ საკუთარი ბიოლოგი მოვკალი მეთქი? — იგი ჩაფიქრდა და მიპასუხა: — მართლა, რატომ ვერ მოვიფიქრე, რომ მაგისტანა კარგი რამ გამომეგონაო“.

ერთხელ, ლიტერატურულ სალამოზე გამოსულ ვ. მაიაკოვსკის ვილატა უვიცმა ყოყოჩურად შესძახა:

— მე არ მესმის თქვენი ლექსები!

— რა ეუყოთ, — ღიმილით მიუგო მაიაკოვსკიმ, — თქვენ არ გესმით, თქვენი ბავშვები მაინც გაიგებენ!

— არა, ვერც ჩემი ბავშვები გაიგებენ მათ, — ჯიუტობდა უვიცი.

მაიაკოვსკიმ ირონიულად მოუქრა:

— რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ბავშვები მამას დაემსგავებინ და არა დედას?

პოეტი რომ ვიყო, დავწერდი სამაისო ლექსს. დავწერდი თბილისზე, ჩვენს საყვარელ დედაქალაქზე, მის ბაღნარებსა და მოშრიალე ხეივანებზე, მის ფართო პროსპექტებზე, ჩუქურთმიან სვეტებსა და თაღებზე, მწკრივში ჩამდგარ ხარაჩოებზე. საგაზაფხულო სამოსივით რომ ჩაუცვამთ ახლად დაბადებულ მწყაზარ შენობებს.

ამისათვის ფანტაზიასა და ოცნებაში წარმოდგენილ ფერადებს კი არ მოვიშველიებდი,—არა, ვეცდებოდი იმ სილაძახის ნაწილი მაინც ამესახა, რაც თბილისს ამკობს ახლა, გაზაფხულზე, ატმებისა და ალუბლების ყვავილობისას, იასამნებისა და აკაციების გამაბრუებელი სურნელის კმევისას, ცაცხვებისა და ჭადრების შრიალში, საზეიმო დროშების ელვარების დღეებში.

თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთ პოეტურ ხაზმომსახაც კი მივმართავდი: დავაკვირდებოდი თბილისში მერცხლების პირველ მოფრენას, აი, ვთქვათ, მელიქიშვილის ახალ პროსპექტზე დავაკვირდებოდი და გამოვიცნობდი მათს განცვიფრებულ ჟღერს.

— ეს, დობილო, თითქოს ის ირიბი ქუჩა უნდა იყოს, რომლის ნაპირზე, ძველ სახლში, შარშან ბუდე გვექონდა,— იტყვის ერთი.

— ის უნდა იყოს, მაგრამ ის რომ აღარ არის!—მიუგებს მეორე.

— სწორედ ის არის,—ჩაერევა მათს ჟღერს მესამე, ახალგაზრდა მერცხალი. —აგერ პირდაპირ მაღალი შენობა მეცნობა, შარშანაც იქ იყო!

— ერთი ამას უყურეთ,—იტყვის პირველი,—ის როგორ არის, როცა იმ ქუჩაზე შარშან ჩირვიც არ იდგა და ახლა კი—შეხე, ცაცხვის მოშრიალე ხეივანებს გაუბამთ მხარი, ან ეს ყვავილნარები...

— ეს შენობები, — შეაწყვეტინებს მეორე,—აქ ქოხნახები იყო შარშან, ახლა კი შეხედეთ, ღრუბლებამდე ატყორცნილი სახლებია გამწვარივით, ვიწრო, ღარივით ქუჩა იყო, ახლა კი—პროსპექტია...

ახლა მათს კამათში სხვა ქუჩებიდან მოფრენილი მერცხლების გუნდი ჩაერევა, ვთქვათ, სადგურის ქუჩიდან...

ერთის სიტყვით, ასეთი კომპოზიციით დავწერდი სამაისო ლექსს ახალ თბილისზე, მე რომ პოეტი ვიყო.

კომპოზიციური რომ ვიყო,—დავწერდი ახალ კანტატას, ახალი თბილისის ალორძინების, აშენებისა და დამშვენების შესახებ, ჰიმნს დავწერდი, რომელშიც მუსიკის ერთი გამომხატველი იქნებოდა არა მარტო დედაქალაქის ზრდა და გალამაზება, არამედ მისი სახით ჩვენი ქვეყნის საერთო, დიდი მშენებლობა, ახალი ქალაქების დაბადება.

— მე რომ მხატვარი ვიყო...

მაგრამ აი, მე არც პოეტი ვარ, არც კომპოზიტორი, არც მხატვარი, ჩვეულებრივი მშენებელი კაცი ვარ, ახლა კულტურის ფრონტზე ვმუშაობ და ისეთი თანამდებობა მაქვს დაკისრებული, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ექსკურსიაზე ჩამოსულ მშენებლებს ვხელმძღვანელობ თბილისის დათვალიერებაში.

დავყვები ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებში, ვაჩვენებ კულტურისა და ხელოვნების ძეგლებს, თეატრებსა და სამხატვრო გამოფენებს, ქარხნებსა და ფაბრიკებს, ახალ მშენებლობებს, ახალ ქუჩებსა და ბალებს, უზარმაზარ შენობებს, ხილებსა და სანაპიროზე ელვასავით დაკლაკნილ ჯებირებს. დავყვები და ვეუბნები:—„აი, ეს შარშან აშენდა, ეს წელს გაკეთდა, ესეც წელს, აი, ახლა ესეც შენდება, ესეც, ისიც, აი, ისიც...“

ყველაფერი ეს მათ ახარებს, მაგრამ ოდნავადაც არ უკვირთ.

მერე როგორ მსჯელობენ, როგორ შედარებებს ახდენენ:

— დიახ, ჩინებულად აუშენებიათ ეს ახალი ფაბრიკა,—ამბობს ერთი,—მართლაც რომ ამშვენებს თბილისს... ჩვენთანაც ასე იყო, ფოლადის გვიანტის აშენება რომ დავიწყეთ, ჩვენთან ტრიალი მინდორი იყო, ახლა იქ ქალაქია, აი, ასეთი შენობებითა და პროსპექტებით...

— ამ ახალ ბაღში კარგად შეუხამებიათ მცენარეების ჯიშები,—დასძენს მეორე,—მაგრამ აი, ჩვენთან დამყნას ძველი წესით როდი ვაწარმოებთ, ჩვენმა მიწურინელებმა ახალი ბალი გააშენეს იქ, რაიონში, ისეთი ბალი, რომ...

— ჩემის აზრით, ამ ახალ პარკში მწვანე ნარგავების საგაზაფხულო შეკრევა ცოტათი გვიან დაუწყიათ,—უმატებს მესამე,—ჩვენს თემში ციტრუსებისა და ჩაის ახალი პლანტაციები სწორედ ასეთ ხრიოკ ადგილზე ვაგაშენეთ, ისეთი პლანტაციებია, ისეთი რომ...

— მასთე არაა ჩვენიც თუ?—ჩაურთავს მეოთხე.—კოლხიდის ნაჭაობარზე ახლა ნარინჯების თვალწვდენელი ქალაქებია, მარა ჩვენი შრომის გმირები საათივით ასწრებენ ნერგების მოვლას.

— აი, ამ ახალ სანაპიროს რო ვუყურებ, ორნაირად მიხარიათ: ერთი იმიტომ, რომა ამკობს ამ ჩვენს თბილისს ქალაქსა, მეორეც იმიტომ, რომა ჩვენს სამგორზე სწორედ ამ ყაიდაზე ვაკეთებთ კაშხალებსა, ელექტროსადგურს თითქმის ამავე წესით ავაშენეთ ჩვენს სოფელშია, თეატრიცა!..

— ამ ახალ პროსპექტის გაზონებში, კარგი იქნება, ჩვენი კოლმეურნეობიდან რომ ჩამოიტანდნენ ახალი ჯიშის ყვავილებს,—ისინი ჩვენმა სელექციონერმა შეაჯვარა, როცა ახალი ჯიშის გრძელთავთავა დოლის პური გამოჰყავდა.

— როცა ჩვენს საავტომობილო გიგანტის ახალი საამქროს მშენებლობა დაიწყო...

— ჩვენს მაღაროებთან შრომის სასახლეს რომ ვაშენებთ...

და ასე დაუსრულებლივ მოჰყავთ გმირული მშენებლობის მაგალითები, როცა დედაქალაქის ახალ მშენებლობას ეცნობიან ახალი გმირები... და მათს სიტყვებში უბრალო შთაბეჭდილებები კი არ ისმის, არამედ ჩვენი ქვეყნის დიდი მშენებლობის დიდი სიმფონია...

ირგვლივ კი გაზატხულია, ცისარტყელების ფერებით შემოსილი მისია, ხალისი და სიხარულია, ჩვენი ბედნიერი ხალხის დღესასწაულია.



სიმფონიკ კონსერვატი

ნახ. ა. კანდელაკისა



- ხომ ხედავ, სულიკო, კონცერტზე დღესაც დავაგვიანეთ.
- მაშ რაო, ჩემო, მუსიკის გულისთვის სარკეში აღარ ჩამეხედა?
- უკვე ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიას ასრულებენ.
- ნუთუ! მე სწორედ მეხუთე მსურდა მომესმინა! ვწუხვარ, რომ ველარ მოვუსწარი!..

ქინკრაქაულის მოსაზრებანი

1. აფსუს, უფროსო, რომ ჩვენს დანესებულებაში დიფტი არ არის: შენი კაბინეტი განა მეორე სართულზე უნდა იყოს?!
2. რა უხეიროდ არის ბუნება მონყობილი: იასამანი მაისში იშლება, ნიკიფორ ნოიჩის მეუღლის დღეობა კი მარტში მოდის.
3. თამადავ, ერიდე ღვინოს და შენს გარშემო მსხდომთ: სუფრის თავს მჯდომარე ყოველთვის თავმჯდომარე არ არის.
4. ადამიანიმა თავი თუ გადასდო, სად არ შეიძლება გმირობის გამოჩენა: ჩემმა ნაცნობმა საკუთარ დირექტორს სამჯერ ზედიზედ მოუგო ჭადრაკში.
5. ქურა ბევრგვარი უსიამოვნო შემთხვევის სამყარო: ერიდე ყოველ გამგედს, რა იცი, რომ შენი უფროსის ნათესავი არ არის!

გია

1) აბიბო ჭინჭრაქაული გახლავთ ჩვენი ერთ-ერთი სამინისტროს სისტემაში არსებული მოაზროვნეთა ქვესექციის პ/მგ. მდივანი. იგი არც ისე ახალგაზრდაა. (დაიბადა 1976 წ. სახელგამის კალენდრის წელთაღრიცხვით). ამხანაგი აბიბო ცხოვრებაში ჩახედული კაცია. ჩვენ გადავწყვიტეთ სისტემატურად გამოვაქვეყნოთ მისი ფილოსოფიური მოსაზრებანი.

ქარაკმული ნაკვესები

1. მშენებელი ინჟინრები უფრო ხშირად შენობით ღაპარაკობენ.
2. ხანდახან ლუდის გაყიდველი მოთმინების ფიალასაც ქაფით ავიკვებ...
3. ხაზმაცმა სტუდენტმა დურბინდის მეორე მხარედან გახედა მოახლოებულ გამოცდებს და გადასწყვიტა თვალებიდან აღარ მოეშორებინა დურბინი.
4. ტროლეიბუსების რიგი ელოდებოდა მკსაზრს, მკსაზრი კი შორიდან ნიშნს უკებდა — ახია თქვენსე, ახლა თქვენ დამელოდეთო.
5. სუფლიორი ისე ხმამაღლა კარნახობდა სიტყვებს, რომ მსახიობები მხოლოდ ზირს აღებდნენ.
6. მკერავთა არტელში რევიზიის მოლოდინში მუდამ ნემსებზე ისხდნენ და... როგორ-ღა მოახერხებდნენ შეკერვას.

ელიზბარ ყიფიანი

სოფლის კლუბში

ლექოს აბა ვინ არ იცნობს—ისე ენაკვიმატია, რომ ზოგ-ზოგნი მისი ენის ამოგლეჯას ინტრიან. სიტყვა მოსდის—ხანჯალივით ორპირი და გალესილი, მებელლე და ფერმის გამგე ცხრაჯერა ჰყავს გალექსილი. კოლექტივის კლუბში ახლა საკონცერტო საღამოა, ჰოდა, ლექსო რა ბიჭია, თუ სცენაზე არ გამოვა: სტვირის დაკვრა უსწავლია—გაბერა და გაახურა, გაახურა, მერე ლექსი ააყოლა ფარახულად. მებოსტნეებს შეეშინდათ,—თქვენს ნამდვილად გაგვქორავენ, გაიპარენ, თან კლუბიდან გაიყოლეს თავმჯდომარე. ლექსო ჰყვება:—რასაც გეტყვი, დასტურ სწორი ამბავია, კოლექტივის მეველე ვარ, ვენახები მამარია, კოლითავის ვენახები—ჩაწითელი, კაბიშტონი, ბრიგადირი თედო არი, მერგოლური—გრამიტონი. მუდამ კარგი მოგლილი გვაქვს—შესარული, აკონილი, მოედნელი ექვთიმე ვარ,—თუ გექნებათ გავონილი. შეღობილიც კარგადა გვაქვს, კარგად, მე ნუ მოგიკვდებით, ლობის პირებს ამშვენებენ ძეწნები და კოპიტები!— ლექსომ რაკი დრო იხელთა, აბა რაღას შეეღვევა, ჰყვება ისე დარწმუნებით, თითქოს მართლა მეველეა: — მეველე ვარ, თავს არ ვზოგავ,—როგორ გავძლებ უშრომელი,

მაგრამ ვენახს მოეჩია ხურთლები უშობელი. ოცი ვაზი წამიქცია—შვილებივით შემენანა, არც ლობე და არც მესერი არა შევლის იმ ვერანას! ბევრჯერ ფეხად გადამასწრო, გული დამრჩა ნისლიანი, სამი დღეა დავიჭირე—ვერ გავიგე ვისი არი. დღეს კი, როცა ვენახიდან შინ მოვბრუნდი სამხრობაზე, როცა ისევე მქონდა ფიქრი იმის ცოცხლად გახმობაზე, დაიძახეს, სადილს ვკამდი, გადამიცდა სასულეში, სიმწრისა და ხველებისგან კაცი კილამ გავსულელი; ერთხანს ისე გავიგულდე, დასახრჩობად აფხრიალდი... ვაჟიშვილი გავახედე—გოგო დახვდა სახრიანი. წითელკაბა, მოხდენილი, ფეხშიშველა, დალაღება, ჩხუბი მსურდა—ცოლმა გარეთ გასვლა აღარ დამანება, ყურში მითხრა: ლამაზია... — სხვა რა გინდა, ქალო, კიდევ! დავიქვციოთ მაგის წუწუკი საქონელის გადამკიდე. — მაგრამ მართლაც კარგი იყო—ღაპარაკი მეტია და— ბიჭი მიხვდა რაც უნდოდა, ბოსლისაკენ შეტრიალდა... უშობელი გამოუშვა, შევხედე და დავრჩი სახტად, ბიჭმა გოგოს, იმ გასაქრობს, ბოდიშიც კი მოუხადა. რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩამივარდა უცებ ენა, მე ის სამგლე უშობელი ლამაზიც კი მომეჩვენა: წაბლისფერი, ქაჩაჩთეთრი, კულიც თეთრი, თვალღიშერი, ქალ-ვაჟს შორის ნახარებით მოჟიანდა თავ-კისერი...



რედაქტორი კარლო კალაქაი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, ი. ნონიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49. ხელმოწ. დათბ. 1950 წ. 25/IV. ტექსტი აწვობილია ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შეკ. № 599. ლენინის ქ. № 14. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე, შეკ. № 1105. თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42. გამოც. № 45. ტირ. 11000. უფ. 02527.



— რა უნდა ამ ხალხს, წითელი დროშები რად აუშარ-
თავენ?
— დღეს პირველი მაისია, ლედი, მუშები მშვიდო-
ბას მოითხოვენ...



— დღეს რაღა უნდათ?
— დღეს ბუთი მაისია, ლედი, საბუთო პრესის დღე
არის და ჩვენშიაც სიმართლეს მოითხოვენ...



— დღეს...
— ცხრა მაისი, ფაშისმზე გამარჯვების დღეა, ლედი.